



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 1 „ 4 „ 03 2020

დადგენილება № 1

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/წ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, „ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის N296 ბრძანებისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით შეტანილ იქნეს ცვლილება აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის N24 დადგენილებით დამტკიცებულ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში და 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) მობილობის ვადებში განსაზღვრული შიდა მობილობის ვადა გაგრძელდეს და განისაზღვროს 2 თებერვლიდან -25 მარტამდე;

ბ) სასწავლო სემესტრის ვადები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- „ 2.1. სასწავლო თანხის გადახდის გრაფიკი:
 პირველი ეტაპი -24 თებერვალი - 31 მარტი, მეორე ეტაპი -1 აპრილი -17 ივნისი
- 2.2. აკადემიური რეგისტრაცია - 17 თებერვალი - 1 მარტი
- 2.3. სააუდიტორიო მეცადინეობა - 24 თებერვალი-19 ივნისი
- 2.4. შუალედური გამოცდა/გამოცდები - სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად
- 2.5. საგამოცდო სესიების პერიოდი - 22 ივნისი - 10 ივლისი
- 2.6. დამატებითი გამოცდები - 13 ივლისი - 17 ივლისი, 31 აგვისტო - 11 სექტემბერი“

- 2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- 3. დადგენილება გაეგზავნოს ყველა ფაკულტეტს, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მეზალიშვილის ქ.№62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე